ვებ-გვერდზე www.rebank.ge განთავსებულ „ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალურ ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე, შეიცვალოს ვებ-გვერდზე - www.rebank.ge - განთავსებული „იურიდიული პირების საბანკო მომსახურების გენერალური ხელშეკრულება“, კერძოდ:

1) გაუქმდეს 1.1.41.მუხლი; **5.6.** მუხლი და მისი პუნქტები; **5.7.** მუხლი და მისი პუნქტები;

2) 5.1.10[1] მუხლის შინაარსი ჩამოყალიბდეს ქვემოთ მოცემული რედაქციით:

3) დაემატოს 12[1] მუხლი და მისი პუნქტები ქვემოთ მოცემული რედაქციით:

5.1.10[1] კლიენტი ითვალისწინებს, რომ ძირითადი ბარათის მოქმედების ვადის გასვლის, გაუქმების დაბლოკვის მიუხედავად, დასაშვებია დამატებითი ბარათით სარგებლობა. ამასთან, კლიენტს დამოუკიდებლად და ერთპიროვნულად შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება - ახალი დამატებითი ბარათის მოთხოვნის, დამატებითი ბარათის გაუქმების, საბარათე ანგარიშის დახურვის, დამატებითი ბარათის დაბლოკვის/განბლოკვის, ბანკომატის მიერ დაკავებული დამატებითი ბარათის მიღების შესახებ. კლიენტის მიერ ანგარიშის დახურვის შემთხვევაში ავტომატურად უქმდება დამატებითი ბარათიც. კლიენტი ვალდებულია დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ს აცნობოს ამ ანგარიშ(ებ)ის დახურვის ან/და დამატებითი ბარათ(ებ)ის გაუქმების შესახებ.

12[1] დისტანციურ საბანკო პროდუქტზე/მომსახურებაზე (ხელშეკრულებაზე) უარის თქმის უფლება

12[1].1. ეს მუხლი განსაზღვრავს კლიენტის მიერ დისტანციურ საბანკო პროდუქტებზე ან მომსახურებებზე უარის თქმის უფლების გამოყენების წესებსა და პირობებს (შემდგომში “უარის თქმის უფლება”), რომლებიც შეთანხმებულია ან ხელშეკრულება დადებულია ბანკსა და კლიენტს შორის დისტანციური კომუნიკაციის არხების საშუალებით (შემდგომში "დისტანციური საბანკო პროდუქტები/მომსახურებები").

12[1].2. კლიენტს უფლება აქვს, ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე, გამოიყენოს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება დისტანციური კომუნიკაციის არხების გამოყენებით მიღებულ საბანკო პროდუქტებზე/მომსახურებაზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან/მომსახურების მიღებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

12[1].3. კლიენტმა მკაფიოდ და ცალსახად უნდა აცნობოს ბანკს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების შესახებ, არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან/მომსახურების მიღებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში. ამ შეტყობინების წარდგენა შესაძლებელია ერთ-ერთი შემდეგი არხის საშუალებით: ინტერნეტ/მობაილ ბანკინგის მეშვეობი; წერილობითი ფორმით (ბანკის ნებისმიერ ფილიალში/სერვისცენტრში). სატელეფონო სერვისცენტრთან დაკავშირებით შემდეგ ნომერზე: (+995 32) 222 25 25 | *2525

12[1].4. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების შესახებ შეტყობინება აუცილებლად უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ რომელი დისტანციური საბანკო პროდუქტის/მომსახურების თაობაზე იყენებს კლიენტი ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას. ამასთან, ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს კლიენტს, ხოლო კლიენტი ვალდებულია ბანკის ამგვარი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში მიაწოდოს ბანკს ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, დაკავშირებული იმ დისტანციური საბანკო პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობასთან, რომელზეც კლიენტმა გამოიყენა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება.

12[1].5. კლიენტი ვალდებულია დაუბრუნოს ბანკს ხელშეკრულებით მიღებული ქონება/თანხა, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების გაგზავნისთანავე დაუყოვნებლივ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა ასეთი შეტყობინების გაგზავნიდან. კლიენტს შეიძლება დაეკისროს ხარჯის ანაზღაურების ვალდებულება ხელშეკრულების შესაბამისად, კლიენტის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენებამდე და მიღებული თანხის/ქონების უკან

დაბრუნებამდე ბანკის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების პროპორციულად. ამასთან, ბანკს უფლება აქვს კლიენტს დააკისროს ბანკის მიერ მესამე პირისთვის გაწეული/გასაწევი ხარჯის ანაზღაურების ვალდებულება.

12^1.6. ბანკი ვალდებულია დაუბრუნოს კლიენტს დისტანციური საბანკო პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობისთვის კლიენტის მიერ გადახდილი ნებისმიერი თანხა სრულად, გარდა ადმინისტრაციული ხარჯებისა და ბანკის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ხარჯებისა (გაწეული მომსახურების პერიოდის პროპორციულად). ბანკის მიერ კლიენტისთვის თანხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაბრუნება ხდება ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, მაგრამ არა უადრეს იმ მომენტისა, როდესაც მომხმარებელი შეასრულებს ხელშეკრულების12^1.4. და 12^1.5. პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

12^1.7. კლიენტის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება მხარეების მიერ ამ მუხლის 12^1.4., 12^1.5., და 12^1.6. პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემდეგ.

12^1.8. თუ კლიენტი სათანადოდ არ შეასრულებს ამ ხელშეკრულების 12^1.4. და 12^1.5 პუნქტებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, სახელშეკრულებო ურთიერთობა აგრძელებს არსებობას თავდაპირველი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ხოლო ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება ითვლება არ გამოყენებულად.

12^1.9. თუ კლიენტსა და ბანკს ერთმანეთის წინაშე აქვთ ფინანსური ვალდებულებები და ურთიერთმოთხოვნები, ბანკი უფლებამოსილია მოახდინოს აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების და ურთიერთმოთხოვნების გაქვითვა. ეს ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი თანხა, რომელიც კლიენტმა უნდა დაუბრუნოს ბანკს, შეიძლება გაიქვითოს იმ თანხიდან, რომელიც ბანკმა უნდა დაუბრუნოს კლიენტს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების შედეგად.

12^1.10. ამ მუხლით განსაზღვრულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებასთან დაკავშირებული დათქმები არ ვრცელდება სპეციფიკური საფინანსო პროდუქტის (კრედიტი, მათ შორის, ოვერდრაფტი, საკრედიტო ბარათი და სხვა) საკრედიტო ხელშეკრულებაზე, ასეთი ხელშეკრულებებისთვის უარის თქმის ეფლება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წესრიგდება კლიენტთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულებით.

12^1.11. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება არ ვრცელდება ისეთ საბანკო პროდუქტზე/მომსახურებაზე, რომლებიც დაკავშირებულია:

12^1.11.1. ვალუტის გაცვლასთან;

12^1.11.2. ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებთან;

12^1.11.3. მიმოქცევად ფასიან ქაღალდებთან;

12^1.11.4. საინვესტიციო ფონდის მიერ ემიტირებულ უფლებებთან;

12^1.11.5. ფიუჩერსებთან, მათ შორის, ისეთ ეკვივალენტურ ინსტრუმენტებთან, რომელთა ანგარიშსწორება ხდება ნაღდი სახით;

12^1.11.6. საპროცენტო განაკვეთის ფორვარდთან (FRAs);

12^1.11.7. საპროცენტო განაკვეთის, ვალუტის და კაპიტალის სვოპებთან;

12^1.11.8. ამ პუნქტში მოცემული ნებისმიერი ინსტრუმენტის შეძენის ან გასხვისების ოფციებთან, მათ შორის, ისეთ ეკვივალენტურ ინსტრუმენტებთან, რომელთა ანგარიშსწორება ხდება ნაღდი სახით. ასევე, ვალუტის და საპროცენტო განაკვეთის ოფციებთან;

12^1.11.9. დოკუმენტალურ ოპერაციებთან (აკრედიტივი, დოკუმენტალური ინკასო, საბანკო გარანტია, აქცეპტები და სხვა);

12^1.11.10. ესქრო ანგარიშთან;

12^1.11.11. ფაქტორინგულ ოპერაციებთან;

12^1.11.12. ხელშეკრულებებზე, რომლებიც მომხმარებლის აშკარა და ცალსახა მოთხოვნის საფუძველზე სრულად შესრულდა ორივე მხარის მიერ, მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენებამდე;

12^1.11.13. სადეპოზიტო ხელშეკრულებებზე.

წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული რედაქცია ძალაში შედის გამოქვეყნების თარიღიდან.

გამოქვეყნების თარიღი: 2024 წლის 1 ივლისიდან.